

ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა და გამოყენების თავისებურება
ქართულ უმაღლეს სამედიცინო განათლებაში, დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტის მაგალითზე

ანა ლიპარტელიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მათა ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას ხელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წინამდებარე წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ლიპარტელიანი

20.01.2020

აბსტრაქტი

ემოციური ინტელექტი არის ადამიანის უნარი მართოს საკუთარი და გაიგოს სხვა ადამიანების ემოციები. ეს არის ინდივიდუალური უნარებისა და განწყობის ერთობლიობა, რაც ეხმარება პიროვნებას მიაღწიოს წარმატებას და იყოს უფრო მეტად რეალიზებული.

ნაშრომის მიზანია დაადგინოს არის თუ არა საქართველოში უმაღლეს სამედიცინო განათლების სასწავლო პროგრამებში ჩართული ემოციური ინტელექტის სწავლების კომპონენტები და როგორ მიმდინარეობს კომპონენტების იმპლემენტაცია სასწავლო პროცესში.

ნაშრომში წარმოდგენილია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარებული შემთხვევის შესწავლის პროცესი, რაც, პირველ ეტაპზე, მოიცავს უნივერსიტეტის ოფიციალური სასწავლო სილაბუსების ემპირიულ კვლევას, რათა დადგინდეს ემოციური ინტელექტის კომპონენტების არსებობა უნივერსიტეტის სწავლების კურიკულუმში. კვლევის შემდეგი ფაზაა თვისებრივი კვლევა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, იმის დასაგენად თუ რა მეთოდით აწვდიან პედაგოგები სტუდენტებს სილაბუსებში აღმოჩენილ ემოციური ინტელექტის კომპონენტებს. კვლევის მესამე ეტაპი მოიცავს ელექტრონული კითხვარის საშუალებით სტუდენტების გამოკითხვას, იმ მიზნით, რომ დადგინდეს როგორია მათ მიერ ემოციური ინტელექტის კომპონენტების სწავლების აღქმა.

მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სილაბუსებში არსებობს ემოციური ინტელექტის კომპონენტები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწავლების პროცესში მისი იმპლემენტაცია თითქმის არ ხდება, რაც განპირობებულია აკადემიური პერსონალის სწავლების

მეთოდებისადმი არაერთგვაროვანი მიდგომითა თუ მათი გადამზადებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვის არ არსებობით.

საკვანძო სიტყვები: ემოციური ინტელექტი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, სილაბუსები, სამედიცინო სასწავლო პროგრამები

Abstract

Emotional intelligence is a person's ability to manage and understand other people's emotions. It is a combination of individual skills and attitudes that helps person in achieving success. The purpose of this paper is to determine components of emotional intelligence in higher medical education in Georgia and identify the ways they are implemented in the official curriculum.

The thesis is based on a case study method and the study was conducted at is David Tvildiani Medical University. In particular, the research is build upon an empirical study of official university syllabuses with the aim to determine the evidence of emotional intelligence components in the university's teaching curriculum. The next part of the research offers a qualitative study results carried out with the university's academic representatives in order to determine how teachers deliver the components of emotional intelligence to students and if these components can be found in used syllabi. Finally, the results achieved through the survey of students are presented, analyzed and discussed with the aim to determine their perception of the components of emotional intelligence. Analysis part demonstrates there are evidences of using discussed components of emotional intelligence in the syllabi of David Tvildiani Medical University, however, due to the multifaceted teaching methods of the academic staff and their training and/or professional skills, the implementation process of those components can be described as a vague and not sustainable.

Key words: **Emotional Intelligence, David Tvildiani Medical University, Syllabi, Medical Programs Curricula**

მადლობა

წინამდებარე კვლევის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღო არაერთმა ადამიანმა, რომლებსაც მსურს, რომ მადლობა გადავუხადო.

პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს - მანია ბიწაძეს, რომელმაც დიდი მონაწილეობა მიიღო წინამდებარე კვლევის სრულყოფასა და სწორად ჩამოყალიბებაში. თემაზე მუშაობისას მისი რეკომენდაციები ყოველთვის იყო სწორი მიმართულების მომცემი.

ამავდრულად, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ოპერატიულად მოწოდებული თითოეული დოკუმენტაციისთვის, აკადემიურ პერსონალს, რომლებმაც დრო დამითმეს და გულწრფელად უპასუხეს ჩემს ყველა შეკითხვას. ასევე სტუდენტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წინამდებარე კვლევის სრულყოფაში.

და ბოლოს, მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებსა და თანამშრომლებს, რომლებიც არ მაძლევდნენ საშუალებას მოვდუნებულიყავი და მიმალვებდნენ მოტივაციას, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიმეყვანა.